სსიპ - ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის''

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა

ოქმი N1

ქ. მცხეთა 15 01 2020 წ.

სხდომის დაწყების დრო- 14:00 სთ.

სხდომის დასრულების დრო-15:00 სთ.

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

1. **ეკა სისაური** - სსიპ - ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის'' სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე (პროფესიული განათლების მასწავლებელთა წარმომადგენელი);

2. **თამარ თორია** - სსიპ - ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის'' სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი);

3. **რევაზ სანიკიძე** -სსიპ - ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის'' სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (დამსაქმებელთა წარმომადგენელი);

4. **ნინო მნათობიშვილი** - სსიპ - ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის'' სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (დამსაქმებელთა წარმომადგენელი);

<u>სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:</u>

1.**თეიმურაზ ასათიანი** - სსიპ -,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის'' დირექტორი;

2.**ლიკა ზაალიშვილი** - სსიპ -,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის'' დირექტორის მოადგილე;

4. **ნატო ჟიჟიაშვილი** - სსიპ -,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის'' იურისტი.

<u>სხდომას არ ესწრებოდა:</u>

1. **გელა უნდილაშვილი** - სსიპ - ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის'' სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენელი);

დირექტორმა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის'' დირექტორის მიერ წარმოდგენილი 2019 წლის საგანმანათლებლო საქმიანობის და ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშის გაცნობა და შეთანხმება.

2. სსიპ - ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის'' 2020 წლის სამოქამედო გეგმის გაცნობა და შეტანხმება;

3. სსიპ - ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის'' 2020 წლის ბიუჯეტის გაცნობა;

კენჭი ეყარა წინადადებას სხდომაზე წარმოდგენილი დღის წესრიგის წარმართვის შესახებ

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 4

წინააღმდეგი: 0

სამეთვალყურეო საბჭომ დაადგინა: სხდომა წარიმართოს წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამსიად.

✓ კოლეჯის დირექტორმა, თეიმურაზ ასათიანმა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს გააცნო სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის'' 2019 წლის საგანმანათლებლო და ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშის გაცნობა.

კოლეჯმა, პროგრამის დამატების გზით, დაიმატა სამი ახალი პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამა წინამძღვრიანთკარსა და დაბა სტეფანწმინდაში:

1. სასტუმრო მომსახურება (მოდულური და დუალური მიდგომით)
2. ხის მხატვრული დამუშავება (მოდულური მიდგომით)
3. მეგაღეობა (დუალური მიდგომით)

კოლეჯს აქვს ქვოტა 383 სტუნდენტზე, დღეის მდგომარეობით კოლეჯში სწავლობს 300 სტუდენტამდე. ასედან 200 სტუდენტი კოლეჯის ძირითად სასწავლო კორპუსში, სოფ. წინამძღვრიანთკარში. ხოლო, კოლეჯიმ დამატებით სასწავლო ფართებში დაბა თიანეთსა და დაბა სტეფანწმინდაში 30-30 სტუდენტი. კოლეჯს ჰყავს 49 წარმატებული პარტნიორი კომპანია, როგორც მცხეთა მთიანეთის მაშტაბით, ისე თბილისის. ამასთანავე, კოლეჯის გადის პროგრამის დამატების ეტაპებს 4 ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის:

1. რძის პროდუქტების წარმოება (დაბა თიანეთი, წინამძღვრიანთკარი);

2. მეხილეობა (დაბა თიანეთი, წინამძღვრიანთკარი);

3. ინფორმაციის ტექნოლოგია (დაბა თიანეთი, წინამძღვრიანთკარი);

4. ბუღალტრული აღრიცხვა (დაბა თიანეთი, წინამძღვრიანთკარი, დაბა სტეფანწმინდა);

ამ ეტაპზე უკვე განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტების ვიზიტი, მომზადებულია შესაბამისი დასკვნა და დარჩენილია საკითხის პროფესიული განათლების ავტორიზაციის საბჭოზე განხილვის ეტაპი. ახალ პროფესიულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მიზნით, ასევე პროგრამების ხარისხის გასაუმჯობესებლად ცვლილებები განხორციელდება 12 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში, კერძოდ,

1. გასწორდა კვალიფიკაციების ფორმულირებები

2. განისაზღვრა პრაქტიკის ახალი ობიექტები

3. პროგრამებს დაემატნენ ახალი პროფესიული მასწავლებლები.

კოლეჯმა განახორციელა 4 პროგრამა 16 საჯარო სკოლასთან თანამშრომლობით. კერძოდ, "სამკრვალო ნაწარმის სპეციალისტი", 'ელექტრული მონტაჟი", "სანერგეს მოწყობა", "მეხილეობა" კურსები განხორციელდა როგორც მცხეთის, ისე ყაზბეგისა და თიანეთის მუნიციპალიტეტში და მთლიანობაში ჩართული იყო 230 მოსწავლე. მომზადდა 5 ვიდეო გაკვეთილი პროფესიული მასწავლებლებისათვის. ჩატარდა ტრენინგების სერია პროფესიული მასწავლებლებისათვის: კომპიუტერული უნარები, სწავლების მეთოდიკა, პროფესიული განათლების სპეციფიკა. პროფესიული მასწავლებლებისათვის ტრენინგები ასევე ჩაატარა:

1. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

2. ფერმერთა ასოციაცია

3. ასოციაცია ანიკა

4. ჩეხეთის რესპუბლიკის სატყეო საქმის ექსპერტთა ჯგუფი

კოლეჯი ჩაერთო ავტორიზაციის ახალი სტანდატების მიხედვით თვითშეფასების პილოტირების პროცესში. მომზადდა თვითშეფასების ანგარიში, სხვადასხვა დაინტერესებული მხარის აქტიური ჩართულობით. კოლეჯმა განახორციელა 5 კურსი N15 და N5 პენიტეციურ დაწესებულებებში:

1. მეწარმეობა

2. ინგლისური ენა

3. მართვის მოწმობა

4. ქართული ენა

მთლიანობაში, გადამზადდა 68 ბენეფიციარი, მათ შორის 9 ქალი.

კოლეჯმა მიიღო გაეროს განვითარების პროგრამის გრანტი, რომლის ფარგლებში: მომზადდა მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამა - ტრაქტორის მართვა-მომსახურება; შეიქმნა ტრაქტორის მართვის სახელმძღვანელო; განახლდა კოლეჯის სოციალური ქსელი და ვებ-გვერდი; მომზადდა ვიდეო-კლიპი კურსის შესახებ; გადამზადდა 3 პედაგოგი და 11 ბენეფიციარი მსმენელი; ასევე, კოლეჯმა უფლების დადასტურების გზით დაიმატა 3 მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამა: ბაღის მოვლა, მცენარეთა მოვლის სამუშაოების, სასტუმროს მიღება-განთავსება - წინამძღვრიანთკარისა და დაბა სტეფანწმინდაში; კოლეჯის 2 ადმინისტრაციის თანამშრომელი, 2 პედაგოგი და 5 სტუდენტი იმყოფებოდა სასწავლო-საგანამანათლებლო ვიზიტით ჩეხეთში.

სამეთვალყურეო საბჭომ მოისმინა კოლეჯის დირექტორის, თეიმურაზ ასათიანის მოხსენება. კენჭი ეყარა სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის 2019 წლის საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ ანგარიშის გაცნობას.

კენჭის ყრის შედეგები:

მომხრე: 4

წინააღმდეგი: 0

სამეთვალყურეო სამბჭომ დაადგინა:

დადასტურდეს შეთანხმებულად, კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოსთან სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის 2019 წლის საგანმანათლებლო და ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიში თანდართული სახით (დანართი 1)

- ✓ დირექტორმა, თეიმურაზ ასათიანმა, სამეთვალყურეო საბჭოს გააცნო სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის 2020 წლის სამოქმედო გეგმა. კოლეჯის მიერ უნდა განხორციელდეს შერჩეული პროგრამების ავტორიზაციის გავლა. ასევე, უნდა განხორციელდეს სასწავლო პროგრამების გადახედვა-გაუმჯობესება, რაც გამოიხატება სხვადასხვა მოქმედებაში, კერძოდ, უნდა მოხდეს შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ

რეკომენდაციების მომზადება; პროფესიულ მასწავლებლებთან სამუშაო შეხვედრების ორგანიზება: მიზნობრივი მონაცემების შეგროვება ; ცვლილებების პაკეტის მომზადება და სხვა. კოლეჯმა 2020 წლის განმავლობაში სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამაში უნდა მიიღოს მონაწილეობა. კოლეჯის მიერ უნდა განხორციელდეს მაისის და ივნისის თვეში თვითშეფასების ანგარიშების მომზადება. ასევე, კოლეჯის მხრიდან უნდა განხორციელდეს კოლეჯის ადმინისტრაციული რესურსის და პროფესიული მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება და სხვა. წლის განმავლობაში კოლეჯი უნდა ჩაერთოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოკლევადიანი ტრენინგ-კურსების განხორციელებაში. ასევე, კოლეჯმა უნდა განახორციელოს მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამები. ასევე, უნდა განხორციელდეს მარეგულირებელი დოკუმენტების ჰარმონიზაცია ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან. ასევე, უნდა დაიწყოს საერთო საცხოვრებლის მშენებლობა კოლეჯის ძირითად სასწავლო ფართში, სოფ. წინამძღვრიანთკარში. ამასთანავე, მიმდინარეობს კოლეჯის ისტორიული ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის მზადება, რათა განხორციელდეს 2020 წლის განმავლობაში კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის რეაბილიტაცია. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ისიც, რომ კოლეჯის დევნილთა დასახლებისგან იზოლირების მიზნით ხორციელდება ღობის მშენებლობა, რისთვისაც გამოცხადებულია ტენდერი.

კენჭი ეყარა სსიპ - ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის '' 2020 წლის სამოქამედო გეგმის გაცნობას და დადასტურებას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 4

წინააღმდეგი: 0

სამეთვალყურეო საბჭომ დაადგინა:

დადასტურდეს შეთანხმებულად კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოსთან სსიპ - ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლჯის'' 2020 წლის სამოქმედო გეგმა თანდართული სახით (დანართი N3)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვასთან დაკავშირებით სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები:

ეკა სისაური _____

თამარ თორია _____

რევაზ სანიკიძე_____

ნინო მნათობიშვილი _____